ლონდა თოლორაია

აქვს საჯარო სამსახურში მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება. ამჟამად ხელმძღვანელობს არასამთავრობო ორგანიზაციას.

ლონდა თოლორაია 2007-2017 წლებში მუშაობდა საქართველოს პროკურატურაში, სხვადასხვა პოზიციაზე. იყო რიგითი პროკურორი, ანალიტიკური სამმართველოს უფროსი, საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მოადგილე. პროკურატურაში კოორდინაციას უწევდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემას. მისი ხელმძღვანელობით საქართველოში დაინერგა არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის პროგრამა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, ასევე, განხორციელდა პროკურორთა სპეციალიზაცია, არასრულწლოვანთა მულტიდისციპლინური საკოორდინაციო საბჭოების შექმნა.

2018-2019 წლებში ხელმძღვანელობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტს, რომელიც ახორციელებდა არასრულწლოვანთა მიერ და მიმართ ჩადენილი დანაშაულებზე გამოძიების ხარისხის მონიტორინგს.

2019 წელს ლონდა თოლორაია საქართველოს პარლამენტმა აირჩია სახელმწიფო ინსპექტორად. 2019-2022 წლებში იგი ხელმძღვანელობდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, რომელიც იძიებდა მოხელეთა მიერ ჩადენილ ძალადობრივ დანაშაულებს (მათ შორის, არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებს) და ახორციელებდა საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგს. სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვა.

ლონდა თოლორაია ამჟამად ხელმძღვანელობს არასამთავრობო ორგანიზაცია ,,კანონის უზენაესობის ცენტრს“, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა არასრულწლოვანთა უფლებებზე მუშაობა.